

ოქმი №35

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

ბიუროს სხდომისა

აბაშა, 2024 წლის 22 ნოემბერი

ოქმი №35

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი ბიუროს სხდომისა

აბაშა, 2024 წლის 22 ნოემბერი

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა გ. ხოშტარია.

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: ზ. მაკალათია, დ. გუნია, დ. ცანავა, გ. მიგინეიშვილი, კ. კუჭუხიძე და რ. კაჭარავა.

საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საკრებულოს აპარატის უფროსი გ. ხურცილავა, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე თ. შოთაძე, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი ნ. კუპრეიშვილი და საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნ. კუპრეიშვილი.

დღის წესრიგი:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის შენიშვნებით აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის დაბრუნების თაობაზე.

მომხს. დ. ცანავა

2. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ.

მომხს. გ. ხოშტარია

1

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის შენიშვნებით აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის დაბრუნების თაობაზე.

მომხს. დ. ცანავა

მომხსენებელმა დ. ცანავამ ბიუროს წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი და პროექტის ირგვლივ არსებული შენიშვნები.

აზრი გამოთქვეს: გ. ხოშტარია.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი – აბაშის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის შენიშვნებით აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის დაბრუნების თაობაზე გატანილ იქნეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე და მომხსენებლად დაინიშნოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დ. ცანავა.

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

2

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ.

მომხს. გ. ხოშტარია

მომხსენებელმა საკრებულოს თავმჯდომარე გ. ხოშტარია წამოაყენა წინადადება აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა მოწვეულ იქნეს 2024 წლის 25 ნოემბერს დილის 10 საათზე, დღის წესრიგით:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ნოემბრის მორიგი №19 სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გ. ხოშტარია

2. აბაშის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის შენიშვნებით აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის დაბრუნების თაობაზე.

მომხს. დ. ცანავა

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე: გ. ხოშტარია

